

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ. ვანი თავისუფლების N 65

27 აგვისტო 2018 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თენგიზ დვალიშვილი, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირები:

ა(ა)იპ ვანის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი - **გვანცა სიგუა**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე.**

დღის წესრიგი

1.ა(ა) იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების სამსახურის 2018-2019 წლის სამუშაო გეგმა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

მომხს./გვანცა სიგუა/

გადაწვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ქალბატონმა გვანცა სიგუამ კომისიის წევრებს გააცნო ა(ა) იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების სამსახურის 2018-2019 წლის სამუშაო გეგმა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიზანია, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისთვის მომზადება. ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალური და ფიზიკური განვითარების ფორმირებას. ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას.

სკოლამდელი აღზრდის შინაარსს განსაზღვრას სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა, რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებულ 0-დან 6 წლამდე ბავშვის განვითარების სტანდარტებს და აქვს მასთან შერწყმული და გათვალისწინებულია აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტში შემავალი ის პუნქტები, რომლებიც უშუალოდ ითვალისწინებს, როგორც პროფესიონალი კადრების ბავშვებთან ურთიერთობას, ასევე შესაბამისი გარემოს მოწყობას საბავშვო ბაღებში.

2018-2019 სასწავლო წლისათვის დაგეგმილი ღონისძიებები

1. საშემოდგომო ღონისძიება - „ოქროსფერი შემოდგომა“ - ოქტომბერ-ნოემბერი.
2. საახალწლო ღონისძიება - „სამობაო ზღაპარი“ - დეკემბერ - იანვარი.
3. საგაზაფხულო ღონისძიება - „აღდგომა და გაზაფხული“ - მარტი - აპრილი.
4. ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 1 ივლისი.
5. გამოსაშვები ღონისძიება (მასშტაბური სახით) - ივნისი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მასშტაბური ღონისძიებებისა, წლის განმავლობაში ყველა ასაკობრივ ჯგუფში ტარდება თემატური პროექტები სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის და სახელმძღვანელოს მიხედვით. პროექტის ხანგრძლივობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

1. 3-4 წლიან ჯგუფში - 20-25 წუთი
2. 4-5 წლიან ჯგუფში - 25-30 წუთი
3. სასკოლო მზაობის ჯგუფში (5-6 წლიანთა) -35-40 წუთი.

წლის ბოლოს ყველა ასაკობრივ ჯგუფში ტარდება შემაჯამებელი აქტივობა. ივნისის თვე ეთმობა სამოედნო მუშაობასა და საზაფხულო გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს.

უფრო ვრცლად წარმოდგენილი საკითხი დანართის სახით თან ერთვის.

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მოიწონა ა(ა) იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების სამსახურის 2018-2019 წლის სამუშაო გეგმა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

/ დანართი N2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე